თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5761513

ნომერი: AR1870657

თარიღი : 29.12.2021

გაცემის თარიღი : 13.01.2022

გაცნობის თარიღი : 14.01.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭონქაძე , N 21;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაია თვალიაშვილი პ/ნ 01009001725
- აღმაშენებლის გამზ. 189-ა

ორგანიზაცია:
- შპს ასტორია კოდი: 404856660

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 29 დეკემბერს №AR1870657 განცხადებით მომართა მაია თვალიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 15 ნოემბრის №5682562 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ნოემბრის №5682562 ბრძანებით №01.15.05.061.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 15 ნოემბრიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2021 წლის 15 ნოემბრის №5682562 ბრძანებაში, კერძოდ განმარტავს, რომ შეთანხმებული -1 და 0 სართულის გეგმები მოიყვანა გენ-გეგმასთან შესაბამისობაში და შესაბამისად ითხოვს წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილ გეგმებზე შეთანხმებულთან მიმართებით შეცვლილია მიწის საფარის მასალა. კერძოდ, შეთანხმებული -1 და 0 სართულის გეგმებზე მითითებული იყო ბეტონის საფარი მოხვეწილი ზედაპირით. ხოლო, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე სართულის გეგმებზე მითითებულია ასფალტის საფარი. ამასთან, განმცხადებელი უთითებს, რომ აღნიშნული გეგმები მოყვანილ იქნა გენ-გეგმასთან შესაბამისობაში, თუმცა შეთანხმებულ გენ-გეგმაზე მსგავსი ჩანაწერი (ასფალტის საფარი) არსად ფიქსირდება. ამასთან, „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებულ -1 და 0 სართულის გეგმებზეც მითითებულია ბეტონის საფარი მოხვეწილი ზედაპირით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, გეგმებზე შეთანხმებულთან მიმართებით შეცვლილია მიწის საფარის მასალა აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს და იგი საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას). აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 15 ნოემბრის №5682562 ბრძანებაში მიწის საფარის მასალის ცვლილებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.